

ბიზნეს სუბიექტები... 2014 (12)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის დეკემბრის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 009 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 96.1% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 3.9% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.916 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. დეკემბერში ზრდა დაფიქსირდა როგორც წინა წლის იმავე თვესთან (15.3%-ით), ისე წინა თვესთან (14.5%-ით) შედარებით.

2014 წლის დეკემბრის თვეში რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 14.7%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 31.1%-ით გაიზარდა. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა წინა თვესთან შედარებითაც: დეკემბრის თვეში რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 13.3%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 52.9%-ით გაიზარდა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.907 და 1.228 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. დეკემბრის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 245 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 56.0%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 513 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 37.7%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 93.7% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 154 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 82 კოოპერატივი, 7 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 6 სააქციო საზოგადოება და 2 საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2014 წლის განმავლობაში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 47 600 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 96.9% სამეწარმეო სუბიექტია, ხოლო 3.1% - არასამეწარმეო სუბიექტი. ამავე წელს ბიზნეს სუბიექტების რაოდენობაში უმნიშვნელო კლება დაფიქსირდა 2013 წელთან შედარებით (0.4%-ით): გაიზარდა სამეწარმეო სუბიექტების (0.2%-ით), ხოლო შემცირდა არასამეწარმეო სუბიექტების (15.2%-ით) რაოდენობა.

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... დეკემბერი, 2013-2014

(ბ) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის წლის სტატისტიკა... 2013-2014

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
დეკემბერი, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	დეკემბერი	
		2013	2014
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3358	3853
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	119	156
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	3477	4009
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.6	96.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.4	3.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-10.4	13.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	20.2	52.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-9.6	14.5
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	2.5	14.7
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-20.1	31.1
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	1.5	15.3
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.790	0.907
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.937	1.228
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.794	0.916
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2108	2245
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1	0
კოოპერატივი	ერთეული	7	82
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1223	1513
სააქციო საზოგადოება	ერთეული	5	6
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	1	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	13	7
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	114	154
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	0
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	5	2

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2015

**ბიზნესის რეგისტრაციის წლის სტატისტიკა
2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	2013	2014
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	46066	46137
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	1726	1463
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	47792	47600
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.4	96.9
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.6	3.1
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა წელთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	7.8	0.2
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	42.9	-15.2
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	8.8	-0.4
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	28157	27778
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	10	5
კოოპერატივი	ერთეული	43	579
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	17701	17553
სააქციო საზოგადოება	ერთეული	50	62
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	1	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	104	160
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	1704	1436
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	12	18
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	10	9

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2015

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ՀՌԲԵՐՆԸՆ ԻՃԹՆՆԵԿՏՐՈՆ ՄՅՈՆ ԸՆԾԱՆՈՎՆԱ... 2010-2014
ՏԵՆԻ ՀՌԲԵՐՆ ԵՃՈՒՄՆԵՐԻ (ԻԻՄՈՒՄՆԸ)

